



გამოცემის
102-ე წელი

www.gazetiajara.ge

**გაქართული სააგენტოს აჭარის
პოლიგრაფიკული საწარმო
მოსამართლო ოფისის**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, აღმოსავლეთის მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 9-14, შიდა-მთიან რაიონებში - 3-8 გრადუსი სიბოლო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 754 მილიმეტრი.
მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ბამონდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№ 2 (25.026)

ხუთშაბათი, 12 - 13 იანვარი, 2023 წ. 50 თეთრი

კრიკოსი N იუსი

საქართველოს პარლამენტის საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი გივი მიქანაძე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ფარა კარიმს და ამავე კომიტეტის მომხსენებელ იოჰან ბიუჩერს შეხვდა. დღეგაცემის წარმომადგენლებს გივი მიქანაძე საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებულ სახსენებლებს და საკანონმდებლო ორგანოში ამ მიმართულებით, 2020 წლიდან განხორციელებულ სამუშაოებზე ესაუბრა.

ირაკლი კობახიძე საქართველოში ევროკავშირის ელჩ პაველ ჰერჩინსკის შეხვდა. მმართველი პარტიის თავმჯდომარემ და ევროკავშირის ელჩმა ისაუბრეს საქართველო-ევროკავშირის შორის სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებასა და ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებზე. საუბარი ასევე შეეხო საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას.

12-პუნქტიანი რეკომენდაციებთან დაკავშირებით ჩვენ საპარლამენტო საქმიანობაში გმონაწილეობთ. ამის იქით ვფიქრობთ, რომ მხოლოდ პარლამენტი არ არის საკმარისი და აუცილებელია ქუჩის აქტივების ორგანიზებაც, - განაცხადა დეპუტატმა პაატა მანგალაძემ ევროპული რეკომენდაციების შესრულების პროცესზე საუბრისას. მისი თქმით, «სტრატეგია აღმაშენებელი» ყველა მიმართულებით აქტიური იქნება.

ადამიანის უკანონოდ მოსმენა არის კრიმინალი, - ასე შეაფასა «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ბარამიძემ მედიაში გაავრცელებული ფარული აუდიოჩანაწერი, რომელშიც ენმ-ის თავმჯდომარე ნიკა მელია ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს. «ეს არის ძველი, საბჭოთა «კაგებშნიკური» საქციელი ნებისმიერი ხელისუფლების დროს. ჩანაწერი შეკოწიწებულია სხვადასხვა ჩანაწერებისგან, ადვილად ირკვევა, რომ მისი ერთი ნაწილი ჩაწერილია 2017 წლამდე, შესაბამისად, ამ რეჟიმის მიერ», - განაცხადა ბარამიძემ.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისთვის სასჯელის გადადგენასთან, ან სასჯელისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი გაიმართა. სხდომაზე, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი დისტანციურადაც არ დაესწრო, უცხოელი ექსპერტები დაიკითხნენ.

მოამზადა
ი.ა. შველიძემ

მაღა შიდასასოფლო გზების გაწმენდა

თამაზ მგზავშიძე 27 48 94

ხულოს მუნიციპალიტეტში აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინტენსიური მუშაობის შედეგად, გაწმენდილია ადმინისტრაციულ ერთეულებთან და სოფლებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზები. ამ ეტაპზე გრძელდება შიდასასოფლო გზების გაწმენდითი სამუშაოები

მაღალი გამავლობის ავტომობილებისათვის გადაადგილება შეუფერხებლად შესაძლებელია ხულო-ზანკების (კურორტ გოდერძის) მიმართულებით.

ელექტრიკოსებმა თოვლის შედეგად დაწყებული ხაზები და დატენილი ბოძები აღადგინეს. სალიკვიდაციო სამუშაოებს მათთან ერთად მოსახლეობაც ასრულებდა.

- ზამთარი ყოველთვის მკაცრი გამოცდელია. იანვრის პირველ დღეებში მოსულმა თოვლმა, ტრადიციისამებრ, პრობლემები შექმნა. მაღლობის მეტი არაფერი გვეთქმის იმ სპეციალ-



ისტების, მექანიზატორების მისამართით, რომლებიც თოვლსა და ყინვაში სამუშაოებს ასრულებდნენ, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ.

თოვლს და ყინვას უმკლავდებიან

გიორგი მგზავშიძე 27 48 93

ქედის სოფლებში თოვლი და ყინვა მძლავრობს. გატარებული ღონისძიებებით, სტიქიით გამოწვეული შეფერხებები თანდათანობით დაიძლია

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის და ქედის «კომუნალურსერვისის» ერთობლივი მუშაობით, თოვლის საფარისგან ადმინისტრაციულ ერთეულებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების გაწმენდა დასრულდა.

მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე მამუკა თურმანიძე, მისი მოადგილე როლანდ ბოლქვაძე, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქედის განყოფილების უფროსი გოჩა ბერიძე ადგილზე ეცნობოდნენ.

სამი დღის განმავლობაში სამუშაო პროცესში ჩართული იყვნენ ელექტრიკოსები. ამჟამად ყველა აბონენტს დენი შეუფერხებლად მიეწოდება.



რას ითხოვენ პეტიციის ავტორები?

2

ვაჟა ღარიბაძე: ხელისუფლება კალაუფლების ნივთია ჩავარდნილი

4

«ნაციონალური მოქრობა» უნდა გაქრეს პოლიტიკური ველიდან, სწორედ ამის უმადო გამოჩნდება ახალი ძალა»

3

მოსაგონარი კიდეც ბევრია...

5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»! ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

რებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»! ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.





რას ითხოვენ პეტრიცის ავტორები?

666 აბსტრაქტი 577 20 35 90

აჭარის უმაღლესი საბჭოს ბიუროს პირველ სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს, მათ შორის, პეტრიცის ავტორების მალაქაძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საზაფხულო იალაღებისთვის დამატებითი სასწრაფო-სამედიცინო მანქანების შეძენისა და ზაფხულობით იალაღებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის პერიოდული უფასო სამედიცინო კვლევების ჩატარების შესახებ (ავტორი - ნესტან ანანიძე) და მუნიციპალიტეტში არაფორმალური განათლების მულტიფუნქციური ცენტრების ამოქმედებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი სოციალური სივრცეების შექმნის შესახებ (ავტორი - გვანცა ვარშანიძე), რომელიც სხდომაზე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ წარმოადგინა. განისაზღვრა წამყვანი კომიტეტები.

პირველ პეტრიციაში ნათქვამია, რომ აჭარის მალაქაძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საზაფხულო იალაღებზე, ტრადიციულად, წლის განმავლობაში რამდენიმე თვეს ატარებს, რელიეფური სირთულისა და გეოგრაფიული დაშორების გამო, ხშირ შემთხვევაში, მოკლებულია ჯეროვან სამედიცინო მომსახურებას. რესურსების სიმწირის გამო სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები რთულად აღწევენ სხვადასხვა დასახლებამდე, პრაქტიკულად უფუნქციოა ათწლეულების წინ გახსნილი რამდენიმე ამბულატორია, მედიკამენტების შესაძენად კი მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში უწევთ გადაადგილება. პეტრიცის მიზანია, აჭარის უმაღლესი საბჭომ არსებული დოკუმენტებისა და მონაცემების გათვალისწინებით, მოიკვლიოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სამთო იალაღებზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების დამატების, ახალი, სამთო რელიეფზე მორგებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენისა და მათი სრულად დატვირთვის შესაძლებლობები. პეტრიციაში ვკითხულობთ,

რომ აჭარის მთავრობას მზარდი საბიუჯეტო შემოსავლების გათვალისწინებით, ნამდვილად აქვს რესურსი, თანამედროვე სტანდარტების სულ მცირე თითო მანქანა დაამატოს ქედაში, შუახევსა და ხულოში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეს მანქანები პარამედიკოსებთან ერთად ზაფხულის პერიოდში იალაღებზე მცხოვრებ მოქალაქეებს მოემსახურებინა, შემდგომში-ზამთარში კი მთელ მუნიციპალიტეტს. პეტრიცის ავტორის თქმით, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა შეიმუშავოს ახალი პროგრამები იმისთვის, რომ მოიალაღებს გარკვეული პერიოდული შემთავარს უფასო სამედიცინო კვლევები, პირველადი საჭიროების მედიკამენტები, პროცესის ადმინისტრირებაში შესაძლებელია ჩაერთოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები, მუნიციპალიტეტის მერიების რწმუნებულები ადმინისტრაციულ ერთეულებში. ასევე, მნიშვნელოვანია, სამინისტრომ მოიკვლიოს და შეისწავლოს ფუნქციური მოძრავი ამბულატორიების (სპეციალური სამედიცინო ავტომობილების) შექმნისა და დამატების შესაძლებლობა მთიანი აჭარის იალაღებზე.

რაც შეეხება მეორე პეტრიციას, მისი ავტორი მიიჩნევს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში მოქმედი საჯარო ბიბლიოთეკები, კულტურის ცენტრები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად ვერ აკმაყოფილებენ არსებულ მოთხოვნებს. მათ არც რესურსი აქვთ, დაფარონ უფრო დიდი გეოგრაფიული არეალი, არ ფუნქციონირებს მუნიციპალური კინოთეატრები, პრაქტიკულად არ არსებობს სივრცეები, სადაც სხვადასხვა თაობის მოქალაქეები შეძლებენ შეხვედრას და საერთო აქტივობების ჩატარებას, რომელიც ხელს შეუწყობს განსხვავებული ინტერესების შეჯერებას, საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საერთო ინიციატივების შემუშავებას, დისკუსიას, ახალი ცოდნის მიღებას და გაზიარებას. არ მიუწვდებთ ხელი რეკრეაციაზე, ურთიერთობაზე სხვა ასაკის



ფართო აუდიტორიასთან და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობაზე. პეტრიცის ავტორს მიაჩნია, რომ არაფორმალური განათლების მულტიფუნქციური ცენტრების დანერგვა იქნება მუნიციპალიტეტში გაჩნდეს თანამედროვე სივრცეები, რომელთა მიზანია მოქალაქეებისთვის ახალი სერვისების მიწოდება, მათი ჩართულობის ორგანიზება და სხვადასხვა თაობის ადამიანთა ურთიერთკავშირის შესაძლებლობის გაჩენა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის ბიუჯეტში, ჩვენი პეტრიცის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაიწყება არაფორმალური ცენტრების ასაშენებლად საპროექტო წინადადებების მომზადება - უპირველესად, გასარკვევი იქნება, რომელ მუნიციპალიტეტში უნდა აშენდეს ახალი ნაგებობა და სად შეიძლება უკვე არსებული (მუნიციპალიტეტის ან ავტონომიის ბალანსზე არსებული) შენობების რეაბილიტაცია ცენტრის მოსაწყობად. პეტრიციაში განხილული თემები, შესაძლოა, მივიჩნიოთ იდეის სამუშაო ვერსიად და თუ აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტრო გამოაცხადებს ტენდერს ცენტრების კონსტრუქციის შექმნაზე, ეს დაინტერესებულ ჯგუფებს სა-

კუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობას მისცემს. ასევე, დასაშვებია, რომ ტენდერის ნაცვლად, კონსტრუქციის წარდგენაზე სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადოს და კომპეტენტურმა კომისიამ საუკეთესო შეარჩიოს. ცხადია, როცა ესაუბრობთ ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობაზე ან ძველის რეაბილიტაციაზე არაფორმალური განათლების ცენტრების გახსნისთვის, აუცილებლად ვითვალისწინებთ შშმ პირთათვის ყველა აუცილებელი საშუალების მოწყობას ცენტრებით სარგებლობისთვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სახელით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოებთან ერთად, პეტრიცის სახით წარმოგიდგინებთ არაფორმალური განათლების მულტიფუნქციური ცენტრების გახსნისა და ამოქმედების ინიციატივას - დარწმუნებულები ვართ, რომ ეს ჩვენი რეგიონის მოსახლეობისთვის სასარგებლო ინიციატივაა, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სასიკეთო ცვლილების განხორციელებას“, - ნათქვამია პეტრიციაში.

გივი მიქანაძე: საარჩევნო კოდექსის ცვლილებებთან დაკავშირებით გამოხატული შეფოთება თარგმანის პრობლემა იყო

საარჩევნო კოდექსში წლის დასასრულს 96 ხმით გასული ცვლილებები, ფრიალ პოზიტიურად შეაფასეს საერთაშორისო პარტნიორებმა, გვარწმუნებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გივი მიქანაძე. ეუთო/ოდირის წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ურნალისტებთან საუბრისას მან ისიც განაცხადა, რომ შეფოთების ნოტივე უფრო თარგმანის პრობლემა იყო



შეხვედრაზე 2020 წლიდან 2022 წლის ჩათვლით გატარებული საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა განიხილეს, ასევე ისაუბრეს იმ რეკომენდაციების შესრულებაზე, რომლებიც ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის მიერ იყო წარმოდგენილი დასკვნის სახით. როგორც მიქანაძე აღნიშნავს, დასკვნაში (პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი) არსებული ჩანაწერით

ფართომასშტაბიანი და კომპლექსური მიდგომა. „რაც შეეხება „შეფოთებებს“, ეს უფრო თარგმანის პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე რეალობაში ამ დოკუმენტშია საუბარი, უბრალოდ, გამოითქვა საკითხები, რომლებზეც მათი მხრიდან გამახვილდა ყურადღება. დეკემბერში ვენეციაში რომ ვიყავი, იქ წარვადგინე დეტალური ინფორმაცია, თუ რომელი რეკომენდაციები იქნა გაზიარებული დამატებით მათი ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. მინდა დაგარწმუნოთ, რომ პოზიტიური შეფასება მიეცა საერთო ჯამში. მთ მავიერად მე ვერ გეტყვით, რჩებათ თუ არა კითხვები, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ის ცვლილებები, რომლებიც 96 ხმით გავიდა გასული წლის დასასრულს საარჩევნო კოდექსში და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ ორგანულ კანონში, ძალიან პოზიტი-

ური შეფასებით არის აღქმული როგორც ეუთო/ოდირის, ასევე ვენეციის კომისიის და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მიერ“, - განაცხადა მიქანაძემ. რაც შეეხება რეკომენდაციების სრულად შესრულების საკითხს, როგორც მიქანაძე აცხადებს, არის გარკვეული რეკომენდაციები, რომლებზეც კონსენსუსს ვერ მიაღწიეს პოლიტიკურმა ძალებმა. მაგალითად, მიქანაძემ დაასახელა ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრების სერტიფიცირება, რაც, მისივე თქმით, ოპოზიციისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. „აქ ვიწვევს კომპრომისებზე წასვლა, მთელი პროცესი რომ არ დაზიანდეს, ეს ახსნადია და ამ ფორმით მივაწოდეთ მათ (ეუთო/ოდირს) ინფორმაცია, რაც მათთვის გასაგებია და მისაღებია“, - განაცხადა მიქანაძემ.

პროდუქსია ექსპორტიორებს დაუბრუნდა

საბაჟო-გამშვებ პუნქტ „ყაზბეგში“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებმა რუსეთის ფედერაციის მხრიდან შემოტანილი 42 250 კილოგრამი კარტოფილის შემოწმების შედეგად პროდუქტი მცენარეთა სიჩანსალისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამოა გამოავლინეს. აქვე, კანონით დადგენილი კონტროლის პროცედურების განხორციელებისას, ფიტოსანიტარებმა შეაჩერეს 69,867 კუბური მეტრი დახერხილი, ფიტოსანიტარიულ ნორმებთან შეუსაბამო ხის მასალა. საქართველოს მთავრობის №463 დადგენილების შესაბამისად, ზემოაღნიშნული საქონელი ექსპორტიორ ქვეყანაში გააბრუნეს.

ბარი მიფასელი **აზირან ბურიმიძე**

ნაპირსამაგრი სამუშაოები - 150-მდე მისამართზე

ბათუმის მერიის ინფორმაციით, მდინარე მეჯინისწყლის მარჯვენა მხარეს ჯებირის ჩამოსხმა მიმდინარეობს. ნაპირსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჭინჭარაძესთან ერთად დაათვალიერა. როგორც მერმა განაცხადა, ნაპირსამაგრი სამუშაოები გეგმის მიხედვით ხორციელდება და ივნისში დასრულდება. მისივე თქმით, გასული წლიდან დღემდე სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები განხორციელდა და მიმდინარეობს კიდევ 150-მდე მისამართზე. ამ ეტაპზე სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები ბაქრაძის, ნიჟარაძის, ბეთლემის, ლორთქიფანიძისა და ზედადელის ქუჩებზე ხორციელდება. გარდა ამისა, ნაპირსამაგრი სამუშაოები დაიგეგმა ფრიდონ ხალვაშისა და ხახულის მეორე შესახვევში.



აზირან ბურიმიძე



„ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გაქრეს პოლიტიკური ველიდან, სწორედ ამის შემდეგ გამოჩნდება ახალი ძალა“

შობრა ღაზალაძე 579 25 25 72

პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებულ დაპირისპირებასა და პოლარიზაციას ბათუმელი პოლიტიკოსები ქართული პოლიტიკური სპექტრის მთავარ პრობლემად თვლიან. მათი აზრით, საქართველოს განვითარება მხოლოდ მის შემდეგაა შესაძლებელი, როცა მხარეები ურთიერთშეთანხმებით იმოქმედებენ და არა - პირიქით, ზიზიზითა და დაპირისპირებით

ნაწილი მიიჩნევენ, რომ „ქართულ ოცნებას“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის წლებების განმავლობაში არსებული ქიშპი უნდა დასრულდეს და ამით არ უნდა იფარებოდეს ის პრობლემები, რაც მოსახლეობას რეალურად აწუხებს. ბათუმის საკრებულოს წევრი ნინო ღაზალაძის თქმით, კონსენსუსის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გვევარება სამშობლო და არა ფული, ძალაუფლება!

- ქვეყანაში არსებული პოლარიზაცია მაშინ დასრულდება, როდესაც



საც პოლიტიკური პროცესები ჯანსაღად წარიმართება. ქართული სახელმწიფო სწორ გზაზე დგას და აუცილებლად გავაღწეოთ ფონს, სწორედ იმით, რომ ქვეყანაში ომი არ იქნება! მთავარი ოპოზიციური ძალა - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არა ხელისუფლებისადმი კრიტიკით, არამედ არაერთი წელია ქვეყნისადმი მაგნეტობითა და კავებებით, თუმცა მათგან არაფერია გასაკვირი, რადგან პარტიაშიც კი ბრძოლა მიდის ფულის და ძალაუფლების გადანაწილებისთვის. ერთიანი ნაციონალური მოძრაობაში „ერთმანეთს ებრძვიან ყველაზე მიუღებელი და ბინძური მეთოდებით - ფარული ჩანაწერების გავრცელებით და შანტაჟით, რაც ამ დღეებშიც ვხედავთ. ეს ადამიანები, ვიდრე პოლიტიკურ ველზე იქნებიან, პოლარიზაციის გაღრმავებას თუ შეუწყობენ ხელს, თორემ მათი მხრიდან კარგის მოლოდინი არ მაქვს. უფრო მეტსაც გეტყვით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არის საქართველოს მტერი! დიხ, მტერი, რადგან ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ყველაფერზე წამსვლელი არიან. გადავხედოთ, თუნდაც ბოლო ერთ წელს, რითი იყვნენ (არაიან) დაკავებულნი მმართველი ძალის ოპონენტები? მხოლოდ მაგნეტობით და ქვეყნისათვის საზიანო ქმედებებით, განცხადებებით. სწორედ ოპოზიციის დამსახურებაა, საქართველოს საშინაო პოლიტიკაში ჩარევის მცდელობა რომ აქვთ „საქართველოს მეგობრებს“. მესმის, მეგობარმა რჩევა მოგცეს, თუმცა არ უნდა გაიძულდებოდეს გადადგა ისეთ ნაბიჯებს, რაც შენს ქვეყანას და ხალხს დააზარალებს. თუ ადრე შეფარვით გვთავაზობდნენ ოპოზიციის ჩართვას, დღეს უკვე არ მალავენ და ამაზე ხმაბლდა, პირდაპირ მოგვიწოდებენ. საბედნიეროდ, საქართველოს ხელისუფლებას აღმოაჩნდა ძალა და გამბედაობა, გონიერება, რომ ქვეყანაში მშვიდობა შენარჩუნებულიყო. მშვიდობა რომ არის დღეს საქართველოში, ამასაც აპროტესტებენ. როგორ შეიძლება,

ქართველისთვის მიუღებელი იყო სლოგანი - „თბილისი მშვიდობის ქალაქი“. თბილისი მშვიდობის ქალაქია და საქართველო - მშვიდობიანი ქვეყანა! ომზე როცა მიდგა საქმე, ეს „გულანთებულ პატრიოტებს“ პირველები გარბოდნენ ქვეყნიდან! პოლიტიკურ ძალას, რომელიც მხოლოდ სიცრუის ტირაჟირებითა და კავებებით და ხალხს თვალში ნაცარს აყრის, რომელიც მხოლოდ ძალადობრივი გზით ფიქრობს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, ქართველი ხალხი ყოველთვის ეტყვის არას, განწყობას ადამიანები სწორედ არჩევენ და როცა გამოხატავენ! ერთიანი ნაციონალური მოძრაობას, მის სატელიტ პარტიებზე აღარ ვაპრობ, არაერთხელ უთხრა ქართველმა ამომრჩეველმა არა და ეტყვის მომავალშიც. ქვეყნის პოლიტიკური ველი რომ გასუფთავდება, როცა პოლიტიკური პროცესები იქნება ჯანსაღი, როცა ოპოზიცია მეტ დროს დაუთმობს ქვეყნის სიყვარულს და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეების კეთებას, იქნება ჯანსაღი ოპონირების რეჟიმში, მაშინ პოლარიზაცია შეიძლება შეიწყვეტოს. ასეთ პოზიციაზე თუ ხარ, სამწუხაროდ, პრორუსულს გიწოდებენ, თუმცა დიდი დროც არ რჩება იქამდე, როცა პოლიტიკური ასპარეზიდან დეტრუქციული ძალები გაქრებიან და ამას ისინი ხელს თავად უწყობენ. ისტორია აუცილებლად იტყვის, ვინ, სად და რომელ მხარეს იდგა, ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი. - განაცხადა ბათუმის საკრებულოს წევრმა, მოძრაობიდან „ხალხის ძალა“ ნინო ცხვარაძემ.

ახალგაზრდა პოლიტიკოსი **მაია ღაზალაძე** „ლელო საქართველოდან“, მიიჩნევს, რომ ორი პოლიტიკური ძალა - „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ახალ პარტიებს თავის დამკვიდრების საშუალებას არ აძლევენ, რაც პოლარიზაციის გაღრმავებას ხელს უწყობს.

- დეპოლიტიზაციისთვის ამ ორ ძალას (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“) შესაბამისი ნება-სურვილი უნდა გააჩნდეს. პროცესი კი ამის საწინააღმდეგოდ მიდის, ერთი-მეორეზე ხე-



ლის გაშვებით ცდილობენ დღის წესრიგში მთავარი პოლიტიკური მოთამაშეები იყვნენ და ამით ყველა საკითხი გადაიფაროს. ბოლოდროინდელი მოვლენებიც ამას მოწმობს - თუნდაც მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლა. ის საკითხები, რომლებიც მოსახლეობას აწუხებს, ამ ორი პარტიის ურთიერთდაპირისპირებითაა გადაფარული. ხელისუფლება ცდილობს, სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიას „ნაციონალური მოძრაობის“ იარაღი მიაკროს, რათა პოლარიზაციის ხარისხი მაქსიმალურად გაიზარდოს. ეს არის მარტივი ხრიკი, „ნაციონალური მოძრაობა“ ამას ირგებს როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა და თითქმის კმაყოფილია ამით. „ქართული ოცნება“ ხედავს, რომ ყველა არჩევნებში, სადაც „ქართული ოცნება“ „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგაა, იგებს, რაც მისთვის რაღაც გარანტი-

სა და ძალაუფლების შენარჩუნების წყარო გახდა, თითქმის ამით მთავარი ოპოზიციაც დაამარცხა. „ოცნებისთვის“ სწორედ რომ ყველა პარტია პარტიის ამ „დიდი“ პოლიტიკური ძალის ქოლგის ქვეშ მიკედლდება არის მთავარი პრობლემა, რაც რეალურად პოლიტიკურ დღის წესრიგს ფარავს. რჩება ვანცდა, რომ მათი მიზანიც სწორედ ეს არის, - განაცხადა ბათუმის საკრებულოს წევრმა „ლელო საქართველოდან“ ვაჟა დარჩიამ.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობაში ოპონენტების მოსაზრებებს არასწორად მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ უსამართლობაზე, ქვეყანაში არსებულ კრიზისზე მყისიერი რეაგირება უნდა ჰქონდეთ და მმართველ გუნდს არ უნდა მისცენ მოღუპებისა და გულგრილობის საშუალება.

- მთავარი პრობლემა პარტიონების მიმართ უნდობლობაა, პარტიონებში რასაკვირველია, ოპოზიციურ პარტიებს ვგულისხმობ. ამიტომ თუ გვინდა ოლიგარქის (ბიძინა ივანიშვილის) დამარცხება, დიდი გაერთიანება საჭირო. ის მოსაზრებები, რაც ოპოზიციური პარტიების ზოგიერთმა წარმომადგენელმა გააუღერა, თითქმისდა პოლარიზაციის დასრულება „ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ ურთიერთდაპირისპირების შეწყვეტით უნდა მოხდეს, აზრს მოკლებულია. როგორ უნდა მოიქცეს „ნაციონალური მოძრაობა“?! არ უნდა გააკეთოს განცხადებები? პრობლემასთან დაკავშირებით არ დააფიქსიროს თავისი აზრი? არაფერი



ვთქვამთ? კომპრომისებზე ყველას მოგვიწევს წასვლა. ამისათვის ოპოზიცია მეტ-ნაკლებად მზად არის. თუ გვინდა, რომ ჩვენ და ჩვენს ქვეყანას უკეთესი მომავალი გვქონდეს, დიდი პოლიტიკური გაერთიანება საჭიროა. ჩვენ გვახსოვს უახლეს ისტორიაში ის ცვლილებები, რაც განვითარდა. გამოვყოფ 2003 წელს, „ნაციონალური მოძრაობა“ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით და სხვა ძალებთან გაერთიანების წყალობით, ხელისუფლებაში მოვიდა. ასევე დიდმა გაერთიანებამ დაამარცხა „ნაციონალური მოძრაობა“ 2012 წელს. დიქტატურას რომ და-

ვამარცხებთ, შემდეგ უნდა ვიმსჯელოთ იმ რეფორმებზე, რაც 2023 წელსაა გასატარებელი. - ამბობს ბათუმის საკრებულოს წევრი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან **ნოზარ ღუმბაძე**.

„ქართული ოცნებაში“ ფიქრობენ, რომ დროა პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ძალა გამოჩნდეს, ახალი იდეებითა და შემართებით. ბათუმის საკრებულოს წევრი **თინათინ ნაციონალური მოძრაობა** და მისი ადგილი დაიკავოს ახალგაზრდა თათბამ.

- ვფიქრობ, რომ მთავარი პრობლემა ერთიანი ნაციონალური მოძრაობაშია. ეს პოლიტიკური გუნდი, ამ ეტაპზე პირველ ოპოზიციურ ძალად რჩება, რომელიც ქვეყანაში გაუტანლობას, შურს თესავს. ეს ძალა არის დაპირისპირებაზე და ქვე-



ყნის არევაზე ორიენტირებული. სამწუხაროდ, მოსახლეობის ნაწილიც აყოლილია ამ ნარატივს. მისი მსგავსი პარტიები მათივე ნაწილია. ბათუმის საკრებულოში ყველა მხარეს კონსტრუქციულობისკენ მოვუწოდებთ, ჩვენ უნდა ვიყოთ ქალაქის განვითარებაზე ორიენტირებული, მაგრამ ეს ოპოზიციური ძალა სანამ იქნება, მუდმივად იქნება არეულობაც. იმედია, პოლიტიკური ველი გათავისუფლდება და გამოჩნდება უფრო ნორმალური ძალა, რომელიც კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე იქნება ორიენტირებული. ჩვენ ის ხალხი არ ვართ, ვისაც სადი აზრის მხარდაჭერა არ შეუძლია. თუკი რაიმე კონსტრუქციული ვინმე თქვა, ყველას მხარი დავუჭირებთ. რაც არ უნდა კარგი პროექტები შემოვიტანოთ, „ნაციონალური მოძრაობა“ მხარს მანაც არ უჭერს. „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გაქრეს პოლიტიკური ველიდან. სწორედ ამის შემდეგ გამოჩნდება ახალი ძალა. აქცენტი ახალგაზრდებზე ვაკეთებ. ამ ახალგაზრდების იმედი მაქვს. ძალიან ჯანსაღი თათბაა, ისინი სიახლეს შემოიტანენ და მიგვაღამებენ თუ სწორედ ისინი ჩაერთვებიან პოლიტიკურ ცხოვრებაში, - განაცხადა ქალაქ ბათუმის საკრებულოს წევრმა „ქართული ოცნება“ დემოკრატიული საქართველოდან თინათინ ნაციონალური მოძრაობის წევრმა **ნინო ღაზალაძემ**.

ეპროკალი მერაბი - „ამაყი უკრაინის ბულში“

ვარშავის, პრადის, ბუდაპეშტისა და ბრატისლავის მერები კიევი მიემგზავრებიან

ინფორმაციას ამის შესახებ ვარშავის მერი რაფალ ტშაპკოვსი „ტვიტერის“ ბიზნეს-ბლოგზე ავრცელებს.

„თავისუფალი ქალაქების მერები თავისუფალი და ამაყ ქალაქ კიევი ჩავდივართ - თავისუფალი და ამაყი უკრაინის ბულში“, - წერს ტშაპკოვსი.



ამირან ბურთიანი

უხსოვარი

იარაღისა და საბრძოლო მასალის წარმოება უნდა გაგზარდოს, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენთან და ევროკომისიის საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელთან გამართულ საერთო პრეს-კონფერენციაზე. როგორც მან აღნიშნა, უკრაინის საბრძოლო მასალის დახმარება ალიანსის წევრი სახელმწიფოების მხარდაც არის აუცილებელი, მაგრამ ეს სწორი გადაწყვეტილებაა.

კრემლის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით მოლაპარაკებებისთვის დიაა. ამასთან, როგორც ოფიციალურმა მოსკოვმა აღნიშნა, „სასურველია“ საკუთარი მიზნების მიღწევა პოლიტიკური და დიპლომატიური საშუალებებით, თუმცა უკრაინისა და დასავლეთის პოზიცია აშკარად ხელს უშლის მოლაპარაკებების შესაძლებლობას.

თურქეთი მხარს უჭერს ვლადიმერ ზელენსკის მიერ შემთავაზებულ სამშვიდობო გეგმას. ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუტ ჩავეუშოლუმ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ვიზიტის დროს განაცხადა. „გეგვა, რომ ეს ომი მოლაპარაკების მაგიდასთან დამთავრდება. რაც უფრო ადრე, მით უკეთესი, თუმცა არის ახალი პარამეტრები და რეალობა. რუსეთი ამბობს, რომ ახლა მზადაა მოლაპარაკებებისთვის. ზელენსკი 10-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმის შემთავაზებით გამოვიდა. ჩვენ, თურქეთი, მხარს ვუჭერთ ამ გეგმას და ვაგრძელებთ ჩვენს მუშაობას“, - თქვა ჩავეუშოლუმ. ცნობისათვის: კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების 10-პუნქტიანი გეგმა ზელენსკიმ ნოემბერში, 20-ის სამიტზე წარადგინა, რომელიც ითვალისწინებს ტყვეების გათავისუფლებას, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის სრულად აღდგენასა და ქვეყნიდან რუსეთის ჯარების გაყვანას.

უკრაინა ჯერჯერობით ვერ განხედა ევროპული კავშირის წევრი, - განაცხადა ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ფრანს ტიმერმანსმა. მისი თქმით, ბლოკი ვერ დაუჭერს მხარს უკრაინის განაცხადს მანამ, სანამ ქვეყნის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებები მიმდინარეობს და იყოფილია რუსი სამხედროები. „უკრაინის ევროპული კავშირის წევრობის პირობათაგან ერთ-ერთია ომის შეწყვეტა და რუსული ჯარების გაყვანა“, - განაცხადა ტიმერმანსმა.

ინგლისსა და უელსში, ანაზღაურების გაზრდის მოთხოვნით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლები გაიფიცნენ, მათ შორის, პარამედიკოსები, ოპერატორები, მძღოლები და ტექნიკოსები. დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნული სამსახური ინგლისში პაციენტებს ურჩევს, სიცოცხლისთვის საშიში, გადაუდებელი მდგომარეობის შემთხვევაში, კვლავ დარეკონ 999-ზე, თუმცა თუკი მათი ჯანმრთელობისთვის დახმარების გადაუდებელი საჭიროება არ არსებობს, მიმართონ 111-ს, ოჯახის ექიმსა და აფთიაქებს.

მომხატა და შვედია



ვაჟა ღარიბაშვილი: ხელისუფლება ძალაუფლების ხიზლშია ჩაპარდნილი

ლავა ხომარობი 593 50 82 69

აი, 2022 წელიც ისტორიის კუთვნილებაა, რა მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა გასულ წელს, რა გამოწვევები დგას ახლა ჩვენ წინაშე და როგორია მათი მოგვარების პერსპექტივები, ოპოზიცია და მმართველი გუნდი რატომ ვერ თანხმდება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებში და რას უნდა ველოდეთ 2023 წელს საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით? ამ და სხვა საკითხებზე „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი და ამავე დროს ბათუმის საკრებულოს წევრი **ვაჟა ღარიბაშვილი** გვსაუბრება.



წლებს ახასიათებს - 2022-შიც რყევებით იყო სავსე და ამაზე როგორც უკვე აღვნიშნე, გეოპოლიტიკური პროცესებიც მოქმედებდა. ჩვენს პოლიტიკურ კლასს ჰქონდა საშინაო და გარე ბატონი მისეული და ევროკავშირისგან, რომელიც არ შესრულდა და ამან მკვეთრად დააზიანა როგორც ჩვენი საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა. 2022 წელს, ალბათ

ბენ მათ. სწორედ ესაა ძალაუფლების ხიზლში ჩაპარდნა. „ქართული ოცნება“ იქცევა ისე, როგორც იქცეოდა ამ ქვეყანაში ყველა ხელისუფლება, რომლის მიზანიც იყო, ჩაბლაუჭებოდა ძალაუფლებას.

- ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებას, რა მდგომარეობაა ამ მხრივ და რა პრეტენზიები აქვს ოპოზიციას ხელისუფლების მისამართით?

- ვიცით, რომ 2023 წლის ბოლომდე გადაგვიწია ამ საშინაო დავების შესრულების დრო. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა პარტიზორებმა ამ მიმართულებით ვერანაირი წინსვლა ვერ დანახვე. ჩვენ რომ 2022 წლის დეკემბერში მიგველო პასუხი, ცხადია, ეს პასუხი უარყოფითი იქნებოდა, რადგან თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღემდე, ფაქტობრივად, არცერთი პუნქტი არ შესრულდა ამ მიმართულებით. ის კი არა, მაშინ, როცა ჩვენი პარტიზორები მიგვითითებდნენ პოლიტიკურ მართლმსაჯულებაზე, ჩვენი ხელისუფლება აწინაურებდა ისეთ მისამართებს, რომლებიც როგორც წინა, ასევე ამ ხელისუფლების პირობებშიც იყვნენ პო-

მიმართა, რომ მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა საზღვარგარეთ მნიშვნელოვანია და, ასევე, იმ ქვეყნიდან, რომელშიც მას გაუშვებენ, უნდა მოვითხოვოთ გარანტია იმისა, რომ გამოჯანმრთელების შემთხვევაში მას აუცილებლად დააბრუნებენ საქართველოში. არ ვარ იმ კატეგორიის ოპოზიციონერი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი უდანაშაულოდ მიაჩნია, თუმცა ამ ფორმის რევანშიზმი არის ინსტიტუტის და ქვეყნის იმიჯის დაუფასებლობა

და საქართველოზეც დიდი გავლენა მოახდინა, რადგან ჩვენი მოქალაქეები კარგად იაზრებენ, რომ უკრაინის ომზე და მასში უკრაინის გამარჯვებაზე და მოლოდინები ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი დღე. ამ მიმე მოვლენის ფონზე გავგეხსნა ფანჯარა, რომელიც 2024 წლამდე თითქოს არ ჩანდა. ვგულისხმობ ვეროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს, თუმცა თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს შანსიც განიავდა, რაზეც, რა თქმა უნდა, მთავარი პასუხისმგებელი ხელისუფლებაა. გახსოვთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სწორედ აქტიური საზოგადოებრივი პროტესტის ფონზე მიიღო გადაწყვეტილება და დააჩქარა 2024 წლისთვის დაანონსებული პროცესი. მნიშვნელოვანი იყო „შინ ევროპისკენ“ აქციები, რომლებმაც ყველა დაგვარწმუნა, რომ ქართველების ისტორიული არჩევანი არის დასავლეთი, ასობით ათასი ჩვენი თანამოქალაქის გარეთ გამოსვლა იყო ერთგვარი იმედის ნაპერწკალი, რამაც მე პირადად, დამანახა, რომ ამ წინააღმდეგობებით სავსე გზაზე, უამრავი მოკავშირე მყავს და ეს ქვეყანა უახლოეს მომავალში აუცილებლად უნდა გახდეს ევროპული ოჯახის წევრი, უფრო სწორად, დაბრუნდეს ამ ისტორიულ ოჯახში. ბუნებრივია, რომ წლის კიდევ ერთი მთავარი მოვლენა სწორედ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე უარის მიღება იყო, თუმცა ის ვითარება, რომელიც წინ უძღოდა უარს, რა თქმა უნდა, არ იძლეოდა სხვა ვარაუდის შესაძლებლობას. გვანსოვს შარლ მიშელის დოკუმენტის ანულირება. გარდა ამისა, უკრაინის კონფლიქტისადმი ჩვენი ხელისუფლების განხვავებული და ვიტყვოდი, მანებლური დამოკიდებულება იყო მიზეზი იმ შედეგისა, რაც დადგა.

- მნიშვნელოვან თემებზე ისაუბრეთ, ამ საკითხების მოგვარება რა პერსპექტივებს უსახავს ჩვენს ქვეყანას განვითარების კუთხით?

- საშინაო პოლიტიკა, როგორც ბოლო

პოლიტიკის ხარისხი მაქსიმალურად მაღალი იყო, რასაც სხვებთან ერთად მიხეილ სააკაშვილის ფაქტობრივად ხელი შეუწყო. ამ პოლიტიკურმა გადაწყვეტამ რიგი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, რაზეც საზოგადოებას აქვს კითხვები და რომელთა გადაჭრის გზებზე უნდა საუბრობდნენ წარმომადგენლობით ორგანოებში, თუმცა ფაქტია, რომ ხალხის ხმა არც ისე ხმამაღლა ისმის, როგორც საქართველოს პარლამენტში, ასევე საკრებულოებში. იგივეს თქმა შეიძლება მედიაზეც. სამწუხაროა, თუმცა ეს ასეა, რაშიც, რა თქმა უნდა, ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც გვაკისრია.

- ცხადია, ოპოზიციის დანიშნულება ხელისუფლების კრიტიკაა, თუმცა მმართველი პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოპოზიციური სპექტრის ბრალდებები და შენიშვნები არაკონსტრუქციულია...

- ხელისუფლება ძალაუფლების ხიზლშია ჩაპარდნილი. ყველა ხელისუფალს ამ ქვეყანაში, სამწუხაროდ, ასე ემართება, რაც პოლიტიკურ პროცესს აზიანებს და საზოგადოებაში აჩენს განცდას, რომ პოლიტიკა ძალაუფლებისთვის ბრძოლაა, რაც, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობიდან დღემდე გრძელდება. გახსოვთ, ჩვენი ლიდერი როგორ გაგვდეს შეკრიბილი საქმის საფუძველზე პარლამენტიდან, მოგვიხსენებს ხალხის მიერ მოცემული ხმების მიხედვით აღებული საბიუჯეტო დაფინანსება. დღემდე ჩვენს ლიდერებს აქვთ სასამართლო პროცესები. გარდა ამისა, გახსოვთ, რომ მიშელის დოკუმენტის ანულირებაც „ქართული ოცნების“ ინიციატივა იყო. ასევე ვნახეთ პრობლემები ლარის საბაჟოზე. ქვეყანაში რუსეთიდან უამრავი ადამიანი შემოვიდა, რაც, თავისთავად, დიდი პრობლემაა. ამაზე არათუ ჩვენი მოქალაქეები, არამედ დასავლელი პარტიზორებიც, საუბრობდნენ. ხელისუფლება კი უკვე ლიად ამბობს, რომ საერთაშორისო პარტიზორებიც კი, თურმე, არასწორად აკრიტიკე-

ლიტიკური დაკვეთის მთავარი შემსრულებლები. გარდა ამისა, ხელისუფლებამ გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ასევე პარტიული ეძახა სახალხო დამცველს, რომელიც გამორჩეულად შეაქვს დასავლელმა პარტიზორებმა, მათ შორის აშშ-ის ელჩმა, სახელისუფლებო გუნდი დღემდე ადგებს სახალხო დამცველის არჩევის პროცესს, დეოლიგარქიზაციის კანონში აპირებს მოაქციოს ყველა, გარდა იმ ოლიგარქისა, ვისზეც ღიად გვესაუბრებთან, მათ შორის ევროპარლამენტარები. დასავლეთს ადანაშაულებენ საქართველოს ომში ჩართვის მცდელობაში, ქმნიან განდეგილი დეპუტატების ჯგუფს, რომლის მთავარი ამოცანაც დასავლეთის ღანძგავაა. სწორედ ყველა ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით შემიძლია თამამად ვთქვა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ჩვენი ქვეყანა ვერ მიიღებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს და ეს არის სამწუხარო მოცემულობა ყველა ჩვენი მოქალაქისთვის.

- არანაკლებ რეზონანსული თემაა სააკაშვილის განმრთელობის მდგომარეობა. ამ მხრივ ლელო საქართველოსთვის“ გამოსავალს რაში ხედავთ და ოპოზიციური სპექტრი რამდენად ერთიანია მისაშე პრეზიდენტის უცხოეთში მკურნალობასთან დაკავშირებით?

- მე მიხეილ სააკაშვილის ტრფიალი არასოდეს ვყოფილვარ, პირაქით, მიმართა, რომ სისტემა, რომელსაც ის მართავდა, დანაშაულებრივად და მძიმე იყო, თუმცა დღეს ის არის პოლიტიკური მიზანშეწონილობის პატიმარი და არა დანაშაულზე პასუხისმგებელი პატიმარი. მიმართა, რომ არცერთი ადამიანი, განურჩევლად სტატუსისა, ციხეში არ უნდა კვდებოდეს. ვიცი, რომ ეს იდეალიზტური სურვილია, თუმცა აქამდე უნდა მივიდეთ. თუ ნებისმიერი პატიმრის განმრთელობასა და სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე და საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ვერ ახერხებს ამ საფრთხეებთან გამკლავებას, აუცილებე-

ლია მისი საზღვარგარეთ გადაყვანა და სასჯელის გადადგება. მიმართა, რომ მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა საზღვარგარეთ მნიშვნელოვანია და, ასევე, იმ ქვეყნიდან, რომელშიც მას გაუშვებენ, უნდა მოვითხოვოთ გარანტია, რომ გამოჯანმრთელების შემთხვევაში მას აუცილებლად დააბრუნებენ საქართველოში. არ ვარ იმ კატეგორიის ოპოზიციონერი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი უდანაშაულოდ მიაჩნია, თუმცა ამ ფორმის რევანშიზმი არის ინსტიტუტის და ქვეყნის იმიჯის დაუფასებლობა.

- გხედავთ იმასაც, რომ „ნაცემოძრაობაში“ მკვეთრი ურთიერთდაპირისპირებაა...

- რთულია ისაუბრო ოპონენტებზე. მართალია, სხვა პარტიდან, მაგრამ ჩვენც ხომ ოპოზიციის ნაწილი ვართ და შიდა სამზარეულოზე ლაპარაკი ჩემი მხრიდან არ იქნება სწორი, თუმცა მიმართა, რომ საერთო ოპოზიციური ბრძოლისთვის ის პროცესები, რაც დღეს „ნაცემოძრაობაში“ მიდის, დამაზიანებელია და მხოლოდ მმართველი გუნდის წინააღმდეგობა უნდა იქნას. ეს არის ამ ეტაპზე მაქსიმუმი, რისი თქმაც შემიძლია „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე მოვლენებზე.

- საკანონმდებლო ორგანოში კვლავ ვერ აირჩიეს სახალხო დამცველი, ეს რისი მანიშნებელია და ამ პროცესში კომპრომისზე ვინ უნდა წავიდეს - მმართველი პარტია თუ ოპოზიცია?

- სახალხო დამცველის ინსტიტუტისადმი „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება არახალია. გვანსოვს უმრავლესობის მიერ არჩეული ბატონი ნანუაშვილი, რომელიც ბოლოს პარტიულ სახალხო დამცველად მონათლეს. იგივე ბედი ეწია ქალბატონ ლომჯარიასაც, რომელიც ასევე მათ მიერ იყო მხარდაჭერილი. შესაბამისად, „ქართული ოცნებას“ ჩანს, არ ადლებს ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობის ხარისხი, პირაქით, დღეს პარლამენტში მიმდინარე პროცესი მთლიანად მიმართულია ისეთი სახალხო დამცველის არჩევისკენ, რომლის მოჩილების ხარისხიც იქნება მაღალი და ამის გამო ხელისუფლება მზადაა არჩევის წესიც კი შეცვალოს, რაც თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. ოპოზიციამ მესამე სექტორთან ერთად, წარადგინა საკუთარი კანდიდატურები, თუმცა მათ მიმართ ხელისუფლება შავ პიარს აცხადებდა და მასში მთავარი საღანძღავი სიტყვები ხშირად იყო: ლიბერალიზმი, მედასავლეთეობა, ფემინისტობა და სხვა.

- სხვათა შორის, არასაპარლამენტო ოპოზიცია კვლავ მოუწოდებს საპარლამენტო ოპოზიციას პარლამენტის დატოვებისკენ, რათა დაიწყოს საყოველთაო სახალხო დაუმორჩილებლობის კამპანია, ამაზე რას ფიქრობთ?

- მიმართა, რომ ამ ეტაპზე ჩვენი მხრიდან წარმომადგენლობითი ორგანოების დატოვება არასწორი იქნება, რადგან ჩემთვის მიუღწეველია მიზანი, რომელსაც ხელისუფლების დელეგატიმაცია ჰქვია. ვფიქრობ, საქართველოს პარლამენტში წარმომადგენელია შეთანხმება საერთო ბოიკოტზე, რიგი ოპოზიციური პარტიები, ფაქტია, ამ დღის წესრიგს არ ეთანხმებიან და შესაბამისად, დელეგატიმაციის საკითხიც პრობლემური ხდება. მიუხედავად იმისა, რომ არცერთ წარმომადგენლობით ორგანოში ხელისუფლებას ოპოზიციის რჩევებს დიდწილად არ ითვალისწინებს, მეგონა, რომ იქ ყოფნა ამ ეტაპზე აუცილებელია და თუნდაც ის დისკომფორტი, რომელსაც როგორც საკრებულოებში, ასევე პარლამენტში „ლელო“ ხელისუფლებას ჰქვია, მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ეს არის ტრიბუნა, რომელიც გვმატებს რესურსს და გვაძლევს მეტ ადამიანთან კომუნიკაციის საშუალებას, რაც მნიშვნელოვანია პარტიული ზრდისთვის.

იხ. მე-7 გვ.

„გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება“

გუშინ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების თანამშრომლებმა - ექიმებმა და მძღოლებმა, პროფესიული კავშირების გაერთიანებასთან ერთად, აქცია გამართეს და ხელფასის მატება, დირსეული სამუშაო პირობები მოითხოვეს

აღნიშნულს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი შემდეგი განცხადებით გამოემართა:

„გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომელთა სამუშაო პირობები გაუარესდა, არ შეესაბამება სიმართლეს. საზოგადოების ინფორმირებისთვის განგმარტავთ, რომ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ინიციატივით, თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით გატარდა რიგი ღონისძიებები. კერძოდ: 2022 წელს, დაწესდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონ-

ალისთვის, უქმე დღეებში, ზეგანაკეთური შრომის ანაზღაურება და 125%-იანი ტარიფით განისაზღვრა, შეიცვალა და გაიზარდა ზეგანაკეთური სამუშაო დროის ანაზღაურება, რაც სახელფასო საათობრივი ანაზღაურების 12%-ით განისაზღვრა, 2022 წელს, ცენტრის თანამშრომლებს სამჭერ დაერიცხათ სახელფასო დანამატ, 2023 წლის დასაწყისიდან, როგორც სხვა საჯარო მოხელეთა, ასევე ცენტრის თანამშრომელთა ხელფასები 10%-ით გაიზარდა.


2022 წელთან შედარებით, 2023 წელს, ცენტრის თანამშრომლები, ისარგებლებენ განმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესებული პაკეტით. ამ მიმართულებით ცენტრის ადმინისტრაცია სატენდერო პროცედურებს ახორციელებს. აღნიშნულს შესახებ ცენტრის თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან, შესაბამისად გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ცენტრის თანამშრომლებს გაუუქმდათ განმრთელობის დაზღვევა არ შეესაბამება სიმართლეს.

ასევე, არ შეესაბამება სიმართლეს ავტომობილების დაზღვევის გაუქმებასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დაზღვეულია ცენტრის ავტობარკში არსებული ყველა ავტომობილი. ავტომობილების დასუფთავების სამუშაო ყოველდღიურ რეჟიმში, ინტენსიურად მიმდინარეობს.

თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ცენტრის ავტობარკისა და სამედიცინო აღჭურვილობის განახლება, არსებული ფილიალების რემონტი და დირსეული სამუშაო გარემოს შექმნა.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ხელმძღვანელობა მზად არის, გააგრძელოს თანამშრომლებთან შეხვედრები სამუშაო ფორმატში“ - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

აშირან ბუჩიყიძე



მოსაგონარი კიდევ ხევრია...

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

გაზეთ «აქარაში» უკრაინის ტრადიციული მუსიკის მწიგნობარისა და უცხოეთის სახელმწიფო ადამიანებთან შეხვედრის, მათთან ინტერვიუს ჩაწერის შესაძლებლობა მოცა. მათ შორისაა უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, მისი ყოვლადუწმინდესობა ილია მეორე.

ქვეყანა და ერი 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიით, 19 აპრილის აჭარის მთიანეთში, სხალთის ხეობის სოფელ წაბლანაში მომხდარი სტიქიური უბედურებით იყო შეძრული. წერ კიდევ არ იყო დასრულებული მილიონობით კუბური მეტრი მიწის მასის ქვეშ მოყოლილი 23 ადამიანის ძებნითი სამუშაოები, როცა უწმინდესი და უნეტარესი სხალთის ხეობაში ჩამობრძანდა, მღვდელმსახურებთან ერთად დაღუპულთა სულებების მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა და სხალთის ტაძარში საყოველთაო ნათლობა ჩატარა. კვლავაც და დღემდეც, ყოველი ფაქტი მკითხველთაგან რომ მიმეწოდებინა, თავადც სხალთის ტაძარში მართლმადიდებლობას ვეზირავ.

იმ დღიდან - 1989 წლის 29 მაისიდან, საუკუნეების განმავლობაში მიჩუმაებული სხალთის ტაძარი ამოქმედდა. პირველ მღვდლად პატრიარქმა მამა იობი (აქიაშვილი) დაადგინა.

იმ დღეს უწმინდესმა და უნეტარესმა შუახვევის რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელების - ვლადიმერ მამულაძისა და ალექსანდრე ჯიბლაძის თხოვნით, რეკონსტრუქციის უბანში წყარო აკურთხა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად.

2007 წლის 30 მარტს პირველი საყოველთაო ნათლობა ჩატარდა და ჯვარი აღიმართა. 120-ზე მეტმა უხუცესმა ქვეყნის მაშინდელ ხელმძღვანელობას, კათოლიკოს-პატრიარქს თხოვნით მიმართა, რომ ტერიტორია და შენობა-ნაგებობანი საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადასულიყო. მაშინ 12,3 ჰექტარიდან 7,1 ჰექტარი ტერიტორია, მასზე განთავსებული შენობებით, საპატრიარქოს გადაეცა. ამ მოვლენის საპასუხოდ, ხიჭაურში დიდი შეკრება გაიმართა და წმინდა ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობაზეც მრევლს ინფორმაცია მიაწოდეს

მას შემდეგ აქაურობა «9 აპრილის ხეივანად» იწოდება. სხალთის ტაძრის ზარების ჩამორეკვა, საყოველთაო ნათლობის ჩატარება, «9 აპრილის ხეივანში» წყაროს კურთხევა კომუნისტური რეჟიმის დროს ერთობ წინგადადგმული ნაბიჯი იყო. პატრიარქს დღის მოვლენების შეჯამება ვთხოვე, რაც არ დაიხარა. თანხლებით ახლად გამოცემული «თბილისის» მოტანა სთხოვა და მისახსოვრა.

აჭარაში მართლმადიდებლობის სვეტიწმინდის მემკვიდრეობის დაწესებული საყოველთაო მოძრაობა ახალი ტაძრების, სამლოცველოების მშენებლობა-გახსნას ითხოვდა. სხალთის ტაძრის შემდეგ ცნობილი ქვემოქვეყნის, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი ზვიად ცეცხლაძის თანადგომით, ხულოში მაშინ მოქმედი სასულიერო სასწავლებლის მიმდებარე ტერიტორიაზე, პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და სხალთის ტაძრის მაშინდელი წინამძღვრის, ხულოს სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელ მამა გრიგოლის (აბულაძე) შემდგომში სხალთის ეპარქიის მღვდელმთავრის ინიციატივით, ტაძრის მშენებლობა წამოიწყეს. მის საზეიმო კურთხევაზე უწმინდესი და უნეტარესი ხულოში ისევ ჩამობრძანდა. საზეიმოდ დალოცა ქვემოქვეყნი და ტაძრის აღმშენებელი, შემდგომში საქართველოს პარლამენტის ოთხი მოწვევის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე. უწმინდესმა იმ დღეს სხალთა გაიხსენა.

16 წელიწადზე მეტი გავიდა იმ დღიდან, რაც მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში სხალთის

«სამშობლოს სიყვარული შოვინისტურ გრძნობათა ნაყოფი კი არ უნდა იყოს, არამედ ნაყოფი იმ მარად უჭკნობი ხისა, რომელსაც ქრისტიანობა ეწოდება».

ილია II



ეპარქიის მღვდელმთავრად მეუფე სპირიდონის კურთხევის რიტუალი შედგა. ახლად არჩეულმა შუახვევის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა დავითაძემ, სხვებთან ერთად, მეც დამლო პატივი, ამ რიტუალს დაესწარბოდი და პრესის ფურცლებზე გამეშუქებინა. იმ დღის მოვლენები შემდგომში წიგნში «ხულო და თანამედროვეობა» შეტანილ სტატიაში «აქაურობაში შეინარჩუნეს ქართული სული» არის აღწერილი. ამონარიდს მოვიტან პატრიარქის სიტყვებიდან: «მე კარგად ვიცნობ აჭარას. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის

საქართველო!».

გაზეთის მკითხველთაგან იმდროინდელი არ იქნება, რამდენიმე წინადადება მოგიწვევლიო მეუფე სპირიდონის სიტყვიდან, რომელიც მან ეპისკოპოსად კურთხევის ჟამს თქვა: «შიში მიპყრობს ამ ეპარქიის მღვდელმთავრად დადგინებისთვის, ეპარქიისა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა მტრის უღელ ქვეშ, ეპარქიისა, რომელიც, როგორც თქვენ ბრძანეთ, უწმინდესო და უნეტარესო, პირველად აინთო ლამაზი ქრისტეს სიყვარულისა და იქცა განმანათლებლად სრულიად საქართველოში».

ში შემავალი ხულოს, შუახვევისა და ქედის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები პატრიარქს თბილისში, საპატრიარქოს რეზიდენციაში წვეოდნენ და იმ მნიშვნელოვან ღონისძიებებზე ესაუბრა, რაც სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონისა და რაიონების ხელმძღვანელობის შეთანხმებული მუშაობით, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სრულდებოდა. რიგი სამუშაოებიც იყო დაწყებული, რომ ხიჭაურის ყოფილი რუსული სამხედრო ნაწილის ტერიტორია საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადასულიყო. უკრან-

ქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ 27 წლის ახალბედა მოძღვარი აჭარაში გამამწესა, მაშინ ვნახე, რამდენად დიდი იყო კუთხეში მობილური მიწა-წყლის სიყვარული, რამდენად წამებულა იესო მისა. მრავალი დარბევა და უბედურება გადაიტანა ამ მიწაზე. მეტრო ცდილობდა, რომ საქართველოსგან მოეწყვიტა ეს კუთხე, მაგრამ აქაურობა შეინარჩუნეს ქართული სული და ქართული ენა. დღეს ისინი უბრუნდებიან თავიანთ მამა-პაპათა სარწმუნოებას - მართლმადიდებლობას. დავწვლილად ადამიანს, რომელიც სიონში მოიხატოდა, ჰკითხეს: ახალ სარწმუნოებაზე გადახვედით? მან უპასუხა: ახალ სარწმუნოებაზე კი არ გადავედი, არამედ ძირძველი სარწმუნოება დავიბრუნე. ეს გახლავთ დიდი პოეტი, ჩემი ნათელი, ბატონი ფრიდონ ხალვაში».

იმ წერილის ნაწილსაც მოვიშველიებ, რომელიც პატრიარქმა ფრიდონ ხალვაშის ოჯახს გამოუგზავნა 2010 წლის 11 ივლისს: «ეს იყო პირივენი, რომელიც ჭორბის იქით და აქით საქართველოს სულიერ გამთლიანებას უწყობდა ხელს და ქვეყნის ერთიანობისთვის მუდამ იბრძოდა. ამიტომაცაა პატრიარქში მთავარი თემა მისი შემოქმედებისა. მოხარული ვართ, რომ გვიან, მაგრამ მაინც, წინაპართა მსგავსად, იგი აღმსარებელი გახდა ქრისტეს სჯულისა. მე ვარ მისი ნათლია და ვიცი, რომ მთელი გულით შეიყვარა მაცხოვარი, ამიტომაც ბუნებრივია, დღეს რომ იგი აქ - ამ წმინდა ტაძრის ეზოში იკრძალებს. ღმერთმა დალოცოს მისი ოჯახი! ღმერთმა დალოცოს სრულიად

ველოსი, ეპარქიისა, რომელიც დიდი დავალია გაწეული, ჰუმბარტად სამოციქულო დავალი მალაფოვლად-დუსამღვდელოესი დიმიტრის მიერ, რომელიც ძალიან დიდი დავალი გასწია მტროროლიტმა, მალაფოვლად-დუსამღვდელოესმა იობმა... უფალი ბრძანებს: «ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას». მეუფე სპირიდონმა მართლაც რომ დიდი და საღვთო საქმეები გააკეთა - ხავსმოკიდებული, ნაწილებმორღვეული, ფრესკებშეღაბული სხალთის ტაძარი და მისი შემოგარენი დაამშენა, განადგურების პირას მისული მარანი დააკონსერვა და მცირე რესტავრაცია ჩატარა, სხალთის ტაძრის სამხრეთით იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ააღდგინა, ხულოში ღვთისმშობლის შობის ხარების ტაძარს წმინდა ანდროს პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი შემატა. დაბა შუახვევის ცენტრში მშენებარე ტაძარს უკვე ხარაჩოები ჩამოხსნეს და მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს. საქართველოს საპატრიარქოს სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის განყოფილების მოთხოვნათა საფუძველზე, განახლა ქედაში წმინდა ევდემოზ დიასამიძის სახელობისა და ზესოფლის ტაძრების მშენებლობა. ქედის ცენტრში საფუძველი ჩაუდგა ახალ ტაძარს. ტაძრის მშენებლობა იგეგმება სხალთის ხეობის კარიბჭესთან - ელვაურის ტერიტორიაზე. ყველა დიდი და მცირე საეკლესიო საქმე უწმინდესისა და უნეტარესის და სხალთელი მთავარეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით სრულდება.

21-ე საუკუნეში ხულოს რაიონის ლისტებიდან მხოლოდ მე მერგო პატივი, ამ ისტორიულ შეხვედრას დაესწარბოდი. პატრიარქი ფოტოების გადაღებაზეც დაგვთანხმდა. იგი გულად და საუბრობდა, დაძაბულობა ყველას მალე მოგვხსნა.

2007 წლის 10 ივნისს მისი უწმინდესობა სხალთის ხეობაში ისევ ჩამობრძანდა და რუსისა და ურბნისის, გურისა და შემოქმედის, ფოთისა და ხობის, ბათუმისა და ქობულეთის, ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიების მიტროპოლიტებთან, სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსთან (მაშინ მეუფე სპირიდონი მთავარეპისკოპოსის რანგში ამალდებული არ იყო) ერთად, წირვა-ლოცვა აღავლინა. იმ დღესაც გააკეთა პრესასთან კომენტარი. ჩემს არქივში მაშინ გადაღებული ფოტოებიც ინახება. სხალთიდან წამოსულმა პატრიარქმა ხიჭაურის ტერიტორია დაათვალიერა. მაშინ ქვეყნის მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლის სურვილი იყო, აქაურობა, სადაც შესანიშნავი ინფრასტრუქტურა იყო, ცხედ, კერძოდ, ქალთა კოლონიად გამოეყენებინათ.

მეუფე სპირიდონი ხიჭაურში ლოცვებს აძლიერებდა, ყოველი სამხედრო ნაწილის ერთ კორპუსში სამლოცველო გამართა. პატრიარქისა და სხალთის ეპარქიის მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევით დაიწყო მოძრაობა ხიჭაურში სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის გახსნისთვის. 2007 წლის 30 მარტს პირველი საყოველთაო ნათლობა ჩატარდა და ჯვარი აღიმართა. 120-ზე მეტმა უხუცესმა ქვეყნის მაშინდელ ხელმძღვანელობას, კათოლიკოს-პა-

ტრიარქს თხოვნით მიმართა, რომ ტერიტორია და შენობა-ნაგებობანი საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადასულიყო. მაშინ 12,3 ჰექტარიდან 7,1 ჰექტარი ტერიტორია, მასზე განთავსებული შენობებით, საპატრიარქოს გადაეცა. ამ მოვლენის საპასუხოდ, ხიჭაურში დიდი შეკრება გაიმართა და წმინდა ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობაზეც მრევლს ინფორმაცია მიაწოდეს.

დღესამშობლოსთან დაბრუნებული აჭარის ისტორიაში მრავალი ღირსეული თარიღია. მათ შორისაა 2008 წლის 9 სექტემბერი, როცა ხიჭაურში წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი გაიხსნა. უნივერსიტეტის რექტორის, მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, ქვეყნის ტერიტორიაზე სამეცნიერო-მეცნიერებითი ექსპედიციები ეწყობა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, ხიჭაურსა და ხულოში არსებული სკოლების პედაგოგების მონაწილეობით. ერთი ასეთი ექსპედიცია პატრიარქის მშობლიურ სოფელ სნოსა და სხვაგან მოეწყო. გეგმგების მონაწილეობით პატრიარქის მიერ გადახდილ წირვას დავესწარით, ხოლო შემდეგ სნოს ღირსშესანიშნაობანი დაგვთვალეფეთ. ჩოხოსნები პატრიარქმა გვიხმო, ფოტოების გადაღებაზეც დაგვთანხმდა და კიდევ დამლოცა.

2013 წლის ივლისი სხალთის ეპარქიის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეულია. მაშინ ხულოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსში 1300-მდე აღმსარებელი მართლმადიდებლობას ეზიარა. მათ შორის, იყო თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ორი ქართველიც. ამ დღეს აჭარის მთიანეთში პატრიარქიც ჩამობრძანდა.

ხიჭაურში ხულოს მუნიციპალიტეტის მაშინდელ გამგებლთან გურამ ხოზრევანიძესთან ერთად მივედი. უწმინდესი და უნეტარესი ეპარქიის რეზიდენციაში იმყოფებოდა. მეუფე სპირიდონმა ჩვენს მისაღებად კურთხევა სთხოვა. თავისებური სიღარბისაღი მივედი, გვერდით მიგვისვა და საუბარი წამოიწყო. პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების, შრომის, სოციალური მდგომარეობის პირობებზე, არსებულ და გამოუყენებელ ბუნებრივ რესურსებზე, სასარგებლო წიაღისეულებზე გაამახვილა ყურადღება. 40 წუთი დავეყავით. დაგვამოძრა, გამორჩეულად ტყის რესურსებს გაუფრთხილდით, აჭარის ტყეებს, მის რესურსებს ქვეყნის მომავალ აღმშენებლობაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიაო. კარგად ვიცნობ ჩრდილოეთ კავკასიის სოფლებს, იქ ტყის რესურსებს მიზნობრივად იყენებენ და ზაზარზე ნედლეულის ნაცვლად ხისგან დამზადებული პროდუქცია გააქვთო.

პატრიარქი კურორტ გოდერძის, აჭარის მთიანეთის ინფრასტრუქტურის განვითარებით დაინტერესდა და თავისი მოსაზრებაც შემოგვთავაზა.

2006 წელს ბოლნისის ეპარქიის მღვდელმთავრად მთიანი აჭარის მკვიდრი, არქიმანდრიტი ეფრემი (გამრეკლიძე) დაადგინეს. აღმშენებელმა და უნეტარესმა ილია II-მ აღნიშნა: «მეუფე ეფრემი წარმოშობით მთიანი აჭარიდანაა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ღვთის ძალა შეეწყვეა მას და იგი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ გაბრწყინდეს ბოლნისის ეპარქია. ამავე დროს, მე მას მივეცი ლოცვა-კურთხევა, რომ როცა მას თავისუფალი დრო ექნება, ჩავიდეს აჭარაში და იქაც იღვაწოს თავისი მშობლიური კუთხისთვის». ეს სიტყვები დასტურია იმისა, რომ პატრიარქს აჭარა, მისი თითოეული კუთხე, აქ მცხოვრები ადამიანები, ასეულობით პატარა, რომლის ნათლია თავადაა, გამორჩეულად უყვარს. ერთო მაჯისცემას ჩვენც ვუერთდებით და პატრიარქს დაბადებიდან 90 და აღსაყდრებიდან 45-ე წლისთავს ვულოცავთ!

თუ პრობლემას გულთან მიიტან, ყველაფერი გაიშლება...

ოთარ ცინცაძე 599 85 21 14

ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების ფონზე, ყველა ხმა-მალა გაიძახის, რომ ქართული სოფლები გვეშვლება და მიგრაციის პროცესები შეუქცევადი გახდა. შუახვევში გამართულ ერთ დონისიებას ვესწრებოდა

ორგანიზატორმა დარბაზს პრობლემათა დასახელება სთხოვა. ერთი მონაწილე უმაღლეს სკამიდან «წამოფრინდა» და მიგრაცია დასახელოდა. მას არც სხვები ჩამორჩნენ, თუმცა არავის უთქვამს მიზეზი, თუ რატომ ტოვებს მოსახლეობა სოფელს. ერთ დროს სოცოცხლითა და ადამიანებით სავსე ოღრიალში, ფოთაროში, ძალიანში, ნაგომარზე, ზეკარაში, მთისუბანში, ოკისში, მახეში ამ ზამთარს აღარავინ დარჩა. თითო-ორთა სახლიდან ისმის მამლის ყვირილი და საკვამურის ბოლი ამოდის წელათში, გორაში, მოფრინეთში, კორძაულზე, გუნდაურში, ვაკეში, ზედა ტომაშეთში, ცეკვაში.



ნაკეთობების დასაშხადებელი საწარმო გახსნას.

წლებია, ხაბელაშვილების გაბროს (მარმარილოს) საბადოს ათვისებასა და პროდუქციის გამოშვებაზე საუბრობენ. აწ განსვენებული ნოდარ ბოლქვაძის მიერ მოწყობილი საამქრო თანამედროვე მოთხოვნებს მინიმუმამდეც ვერ აკმაყოფილებს. მილიონობით კუბური მეტრი გაბროს ათვისება

შუახვევლებს კარგად ახსოვთ კურორტ გომარდულის მომიჯნავე სოფელი წანკალაური. ამ სოფლის 8-წლიან სკოლაში ერთ დროს 140-მდე მოსწავლე იყო. ზოგიერთები პროგნოზირებდნენ, რომ კურორტ გომარდულის ამოქმედება წანკალაურსაც ახალ სიცოცხლეს შესძენდა. კურორტი 15 წელია მოქმედებს, მაგრამ სოფელს გამოცოცხლების არაფერი ეტყობა.

ერთი იმასაც მიაწერს, რომ მაგალითად, შუახვევში არსებული 43 სოფლიდან, ხელმძღვანელი ყველას არ ჰყავს. უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში 7 სოფელია და მხოლოდ 4 ხელმძღვანელი. ფრიდონ ბერიძე მოფრინეთს, სამოლეთს და წაბლანას ემსახურება. თავის დროზე «რესპუბლიკური პარტიის» მიერ ინიცირებული «თვითმმართველობის კოდექსი», ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებს უზღუდავს, რომ ყველა სოფელში სპეციალისტი (მერის წარმომადგენელი) მიავლინოს. ისინი მოსახლეობის რაოდენობის საფუძველზე ინიშნებიან.

6 კილომეტრზე განფენილი სოფელი ნიგაზულა. 12 წლის წინ ამ სოფელს მალხაზ ხიმშიაშვილი და ამირან კაკალაძე განაგებდნენ. ახლა ივერი კაკალაძე შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელია. ზამთრის ადმინისტრაციულ ერთეულში. მან უნდა მიხედოს ნენიას, ბუთურაულს, ფურტიოსა და ნიგაზულას. სოფელს ხელმძღვანელი არ ჰყავს და ეს სტატუსი ივერის აქვს დაკისრებული. მერის წარმომადგენელი უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში ეშარ დავითაძე მშობლიური ტბეთის გარდა, გოგაძეც სოფლის ხელმძღვანელის სტატუსით პატრონობას.

ყოველი არჩევნების წინ დეპუტატობის კანდიდატები ამომრჩევლებს პირადებიან, რომ თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებებს შეიტანენ და თითოეულ სოფელს ერთპიროვნული გადაწყვეტილებები კი არა, მოსახლეობის მიერ არჩეული თავაკაცეც უკლებს. კარგი იქნება, თუ ვინმეს ეს დაბრუნება გახსნიდა.

აბა, მოიკითხეთ, რა ენერჯია, ძალისხმევა, თუნდაც თანხები შეალოა ბიზნესსმენა ლევან მყავანაძემ მშობლიურ სოფელ წყაროთაში «მომაგლის სოფლის» მშენებლობას? მშობლი-

ურ სოფლებს პატრონობენ საქველმოქმედო ფონდ «შუბანის» წევრები. მართის ხეობის სოფელ კობალთის ყოფილი მკვიდრი ლევან ქიხინძე ქვეყნისთვის ძნელდებლობის წლებში მართ მშობლიური სოფლის კი არა, მთელი მართის ხეობის მოსახლეობის თანამდგომი იყო, მთა ჩირუხში არსებულ ინფრასტრუქტურასაც უპატრონა.

მისასალმებელია საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ინიციატივა. მათ მოიძიეს თანხები და აჭარის მთიანეთში მცხოვრებ ძალიან სტრუქტურების ვეტერანებს საჩუქრად (მაგრამ არა გასანიაველად) ზაანური ჯიშის თხები გადასცეს. გაზაფხულზე კიდევ 30 თხისა და მათი ნამატის საჩუქრად გადაცემას აპირებენ. ეს წამოწყება რამდენიმე ადამიანს საქმეს გაუჩინა, თანაც მშობლიურ კუთხეში დაამაგრებს.

მშობლიურ კუთხეს თანადგომას არ აკლებს ბიზნესმენი გოჩა ირემაძე. რომ არა გოგაძეებელი ბიზნესმენის თანადგომა, მართლმადიდებლები წმინდისგან ვერ იქნებოდნენ და ვერც სახალხო დღესასწაულს წამოიწყებდნენ. იგივე ითქმის ტბეთელებზეც, მაგრამ შარშან ორგვე სოფელში ეს წამოწყება აჩაგდეს.

ინიციატივა, საქმისადმი ერთგულება ადგილობრივი მოსახლეობისგან არ იგრძნობა. რაიკომპერატევის სისტემის მოშლის შემდეგ, დაბა შუახვევის კვების ობიექტებისა და მოსახლეობის პურით მომარაგება პრობლემად იქცა. «შუახვევის» მშენებლობის წლებში შპს «აჭარისწყალი ჯორჯიას» თანადგომის ნაცდით, ყოფილი რაიკომპერატევის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე ფურნე მოაწყვეს, მაგრამ პური ვერც ხარისხიანი და ვერც საკმარისი რაოდენობის გამოიყვანა. შარშანში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თვითდაფინანსებაში ჩაერთო დაბა შუახვევის მკვიდრი უჩა დავითაძე. მან საკონკურსო წესით საკუთრებაში შექმნილი შენობის 200 კვადრატულ მეტრზე თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ფურნე მოაწყო, რამდენიმე ადამიანი დაასაქმა, ხარისხიანი პურიც გამოაქვს. ახლა მომხმარებელი სავაჭრო ობიექტში რომ შედის, პირველად «შუახვევის პურს» კითხულობს.

ჩაქცევის პირას იყო შუახვევის კულტურის სახლი. ორჯერ სცენა ჩაინგრა და ადამიანები ბედად გადაარჩნენ. მალე რეაბილიტირებული შენობა ექნებათ.

მიგრაცია შეუქცევად პროცესად რომ იქცა, ფაქტია, მაგრამ მისი ამ დონემდე მიყვანის მიზეზების ძებნა ვერაფერს შეცვლის. მთავარია, გამოინახოს გზები პროცესის მეტ-ნაკლებად შესაჩერებლად. ეს ერთი და ორი პიროვნების ან ერთი უწყების პრობლემა არაა და მას ყველა ერთად უნდა გაუშკლავდეთ.

სოფლების დაცარიელებას ზოგიერთი იმასაც მიაწერს, რომ მაგალითად, შუახვევში არსებული 43 სოფლიდან, ხელმძღვანელი ყველას არ ჰყავს. უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში 7 სოფელია და მხოლოდ 4 ხელმძღვანელი. ფრიდონ ბერიძე მოფრინეთს, სამოლეთს და წაბლანას ემსახურება. თავის დროზე «რესპუბლიკური პარტიის» მიერ ინიცირებული «თვითმმართველობის კოდექსი», ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებს უზღუდავს, რომ ყველა სოფელში სპეციალისტი (მერის წარმომადგენელი) მიავლინოს. ისინი მოსახლეობის რაოდენობის საფუძველზე ინიშნებიან

ლები გამოიკეტებოდა, პოეტ ზაქარო კეჭერაძის საცხოვრებელი სახლი დაშლის პირას მივიდოდა.

მთელ შუახვევის რაიონში ლაკლაკეთის სადარი ნაყოფიერი მიწა იშვიათობაა. გვალვიან ზაფხულში სარწყავი წყალი საძებარი არ აქვთ. აქაური ცოლიკაურისა და ციკქას ღვინო საყოფლთაოდ ცნობილია. ხილიც ართმატულია, სიმინდი, ბოსტნეული ხარისხიანი მოდის. სოფელში მოასვენებელი გზა შედის, კეთილმოწყობილია ცენტრი, დაწყებული სკოლის შენობა საუკეთესოა, თუმცა... სასმელი წყლის პრობლემა იყო და წელს ესეც მოგვარდება.

ალბათ გამეჩინათ: «წამხედურობამ წამწყვეტაო». ერთი რომ განერიდა სოფელს, მას მეორე მიჰყავს. ვინც დარჩა, მათაც გული უტრუვდებათ. სოფელში თხა აღარ მოიძებნება, რომ ცვალ-ზარდს ყლორტს მოაჭამოს, ცხვარი ხომ საერთოდ გააქრეს. ოჯახებმა, რომლებსაც ერთ დროს ნახირში 5-6 ფური და ამდენივე ნამატი დაუდიოდათ, უფრო მეტიც, საქორის, ზლიკვათის, ხევითაის, საფიცის, თიგნარის, ინდუთის, საყავრის სათიბები და საკარტოფილე ნაკვეთები ეწერად აქციეს.

საქართველოს პარლამენტმა «მთის კანონი» რომ მიიღო, მისი მთავარი მიზანი სოფლის შენარჩუნება, იქ მიკრო და მკირე საწარმოების, საოჯახო სასტუმროების ამოქმედება, შრომითი რესურსის ადგილზე დამაგრება იყო. შუახვევში სამი თუ ოთხი საოჯახო სასტუმროს, ორი ღვინის მარნის, საკონდიტრო თუ წინდების საქსოვი საამქროს ამოქმედება დიდ სარგებლებს ვერ მოიტანს.

ყოველწლიურად ასეულობით სამასალე მერქნის მოპოვებაზე ბილეთები გაიცემა. უმრავლესობა მას სახლის მშენებლობისთვის, კეთილმოწყობისთვის ითხოვს, მაგრამ გამოიტანენ თუ არა მერქანს ტყიდან, ათასგვარი ხრიკებით რაიონის ფარგლებს გარეთ გააქვთ. ბევრი სახერხი საამქროს გახსნისთვის მიმართავს მუნიციპალიტეტის სათანადო ინტანციებს, მაგრამ არავის უჩნდება სურვილი, ადგილობრივი ტყის რესურსების ბაზაზე ხის

ქვეყნის, თუნდაც შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს სარგებელს მოუტანს, ადგილობრივებს დასაქმებს და ხაბელაშვილები და მიმდებარე სოფლები დაცარიელებას გადაურჩება. იგივე ითქმის მახალაკიძეების დაცინდელი ტბების ათვისებაზე.

შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფლების მასულდგმულზელი განათლების, კულტურის სფეროს ობიექტები და იქ დასაქმებული პერსონალია. თუმცა, სტატისტიკას თუ გადავხედავთ, განათლების კერებში დასაქმებულთა კონტინგენტი თითქმის მოსწავლეთა რაოდენობას უტოლდება. შუახვევის 43 საჯარო და 22 მიერთებულ (ადრინდელი დაწყებითი სკოლები) სკოლაში 1015 პედაგოგი და ტექნიკური პერსონალია, მოსწავლეთა რაოდენობა კი - 1448. გასული საუკუნის 70-იან წლებში შუახვევში 82 სკოლა იყო, მათ შორის, 41- დაწყებითი. ახლა მოსწავლეები არ ჰყავთ, რის გამოც დაწყებითი სკოლები გაუქმებულია ფოთაროში, ძალიანში, ზედაყანაში, ზედა ახალდაბაში, აფხაკეთაში, ოკისში, ზეკარაში, ლომსიანეთში, გორაში, კორძაულზე, ბარში, ვაკეში, მთისუბანში, ზედა მახალაკიძეებში, ზედა ტომაშეთში, გუნდაურში, ზედა ზემოხვევში, ვჯარში.

გოგაძეები მართის ხეობაში უძველესი და მჭიდროდ დასახლებული სოფელი იყო. აქ საშუალო (საჯარო) სკოლა წინა საუკუნის 60-იანი წლებიდან მოქმედებს. ცნობილი პედაგოგის შოთა ჯიბლაძის წიგნი «გოგაძეების» თუ ვერწმუნებით, 1987-1988 სასწავლო წელს სკოლაში 150-ზე მეტი მოსწავლე ყოფილა, დღეს ხუთიც აღარაა. არადა, ამ სკოლის კედლებში აღიზარდნენ სახელგანთქანი მწერლები ემენ, მიხეილ დავითაძეები, პოლიტიკოსი იური დავითაძე, პუბლიცისტი ანზორ დავითაძე, ალექსანდრე, შოთა ჯიბლაძეები, მეცნიერები შოთა დავითაძე, ალექსანდრე ბათაძე, ბიზნესმენები რამინ, მიხეილ დავითაძეები.

მოსწავლეთა კონტინგენტი მინიმუმამდეა დასული ისეთი ტრადიციების სკოლებში, როგორცაა: უჩამბა, ტბეთი, ოლადაური, ქალა, ნდვარევი.

არსებული სახლების უმრავლესობა დაიშალა, სკოლის შენობის ნანგრევებიც აღარაა.

კურორტ გომარდულის ამოქმედებამ ერთ ხანს სოფელ გომარდულს ახალი სიცოცხლე შესძინა. კურორტის განვითარება რომ შეფერხდა, ზია დარჩიძემ და მისმა მეზობლებმა სოფელში დაარჩინაზე გული აიკრუსეს. ბევრმა გომარდული საერთოდ მიატოვა, მიუხედავად იმისა, რომ აქ ცხოვრების იმაზე უკეთესი პირობებია, ვიდრე ლაკლაკეთში. გომარდულში წანკალაურზე კავლით ასფალტ-ბეტონის საფარისანი გზა შედის. საავტომობილო მიმოსვლა უკვე უხვთოვლიან ზამთარშიც აღარ იზღუდება. როცა კურორტზე ლამისთევს და კვების სათანადო პირობები არ იყო, ტურისტები ადგილობრივებთან ბინავდებოდნენ და გასამრჯელოსაც კარგად უხდიდნენ.

სოფლების დაცარიელებას ზოგი-

საქსტატის მონაცემებით...

გასული წლის იანვარ-ნოემბერში საშაერო გადაზიდვებში სავაჭრო ბრუნვამ პანდემიამდე ნიშნულს გადააჭარბა. ამ პერიოდში თვითმფრინავით გადაზიდვებმა 1,030 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში - 991,595 მლნ აშშ დოლარი, 2020 წლის იანვარ-ნოემბერში - 766,262 მლნ აშშ დოლარი, ხოლო 2019 წლის 11 თვეში - 903,799 მლნ აშშ დოლარი. ამასთან, საქართველოდან ექსპორტზე საშაერო გადაზიდვებით გასული წლის საანგარიშო პერიოდში 224,879 მლნ აშშ დოლარის პროდუქტი გავიდა, რაც შეეხება იმპორტს - 805,407 მლნ აშშ დოლარის შემთხვევაში.

„ბიზნესპრესნიუსი“ გვთავაზობს იმ პროდუქტების ჩამონათვალს, რომელთა იმპორტ-ექსპორტი (საშაერო გადაზიდვებით), 2022 წლის 11 თვის მდგომარეობით, ყველაზე დიდი რაოდენობით განხორციელდა.

ტომ-5 ექსპორტირებული პროდუქტი:
 ოქრო დაუშუშავებელი ან ნახევრადამუშავებული, ან ფხვნილის სახით - 75,427 მლნ აშშ დოლარი; ხელსაწყოები და მოწყობილობები მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოყენებულ - 30,190 მლნ აშშ დოლარი; სამარჯვები ორთოპედიაული; სხეულის ხელოვნური ნაწილები - 19,550 მლნ აშშ დოლარი; ნარ-

ჩენები და ჯართი ძვირფასი ლითონების ან ძვირფასი ლითონებით მიტყეცილი ლითონებისა - 16,829 მლნ აშშ დოლარი; კოსმეტიკური საშუალებები ან მაკიაჟისა და კანის მოვლის საშუალებები - 10,288 მლნ აშშ დოლარი.

ტომ-5 იმპორტირებული პროდუქტი:
 სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების ჩათვლით - 197,606 მლნ აშშ დოლარი; სამკურნალო საშუალებები დეფსაოგებელი - 103,054 მლნ აშშ დოლარი; გამოთვლადი მანქანები და მათი ბლოკები - 86,181 მლნ აშშ დოლარი; ვაქცინები, მისხლი და იმუნური პროდუქტები - 43,094 მლნ აშშ დოლარი; საფრენი აპარატები სხვა - 38,724 მლნ აშშ დოლარი.

ამირან ბურიძე



პირველად აჭარაში სკოლა მოკლევადიან სახელოვნებო პროგრამებს ასორსივლებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში პროფესიული მოკლევადიანი გადამზადების პროგრამების: „ჩართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“ და „ჩართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ორგანიზაციის“ კურსდამთავრებულებისთვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია საზეიმო ღონისძიების ფონზე წარიმართა

პროფესიული პროგრამების მსმენელებმა და სკოლის მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოების წინაშე რამდენიმე სიმღერა და ცეკვა წარადგინეს და აპლოდისმენტები დაიმსახურეს. ღონისძიებაზე ასევე გამოფენილი იყო პროფესიული მომზადების პროგრამის „თქვის ნაწარმისა და აქსესუარის დამზადება“ მსმენელების მიერ შექმნილი ნამუშევრები, რომელთა მრავალფეროვნებამ სასიამოვნო ემოციები მოჰგვარა თითოეულ დამთვალიერებელს.

მოკლევადიანი პროფესიული სახელოვნებო პროგრამები აჭარაში პირველად განხორციელდა და მომდევნო სამი წლის განმავლობაში, დაინტერესებულ პირებს შეეძლება ექვს სხვადასხვა პროგრამაზე კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი ცოდნის და უნარების შექმნა. აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა სკოლის თითოეულ წევრს, მოსწავლეებს, განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის კი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მთელ გუნდს. ვახტანგ ბერიძის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირველად აჭარაში, სახელოვნებო მიმართულებით პროფესიული განათლების პროგრამები განხორციელდა, რაც ემსახურება ჩვენი რეგიონის კულტურის სფეროს გაძლიერებას, ადამიანური რესურსების მოზღვივებას, ახალი

ცოდნისა და უნარების განვითარებას. - შარშან განათლების ხარისხის ეროვნულმა ცენტრმა 6 პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება მოგვცა, რომელთაგანაც 3 განვხორციელეთ, დღევანდელ ღონისძიებაზე ორ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო.

იღვე მსმენელებს სერტიფიკატები გადაეცით, აღსანიშნავია, რომ სულ სამივე პროგრამაზე 45 მსმენელი სწავლობს. წელს იგეგმება მიღება ექვსივე პროგრამაზე, მათ შორის, ორზე უკვე გამოვაცხადეთ, ეს არის „კულტურული ღონისძიების ორგანიზატორი“ და „ბიბლიო-

თეკარი“, დანარჩენ პროგრამებზე მიღება ეტაპობრივად გამოცხადდება. პროგრამის ფინანსური მხარდაჭერები არიან: აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს პროფესიული უნარების სააგენტო და საქართველოს მთავრობა. აჭარაში, სახელოვნებო განათლების მიმართულებით, ეს არის პროფესიული

ი. მე-8 გვ.

„სხვა პარტიანი არ მქონდა“

Geo Team-ის გადაცემის წამყვანმა სტუმარს - საქართველოს 21-წლამდელთა და მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელ ლუკა გაგინძეს ჰკითხა:

- ბრუნდები მოსკოვის „დინამოში“ მიუხედავად იმისა, რომ ომი არ დასრულებულა, რატომ?

- ასე ვიტყვი: სხვა ვარიანტი არ მქონდა. როდესაც ფეხბურთელი ხარ - 19 წლის, არავის უნდა იჯარო შენი აყვანა. პირველ რიგში, მეც მიქმნის დისკომფორტს



ამირან ბურბულიძე

რუსეთში თამაში. ხალხს არ უნდა, ნაკრებში დაეიძახონ, მაგრამ ნაკრების ფედერაციაში ჰქონდათ ლაპარაკი და გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ მე იმ გუნდთან უკვე ხელშეკრულება მაქვს, ასე ავღვე და წამოვიდე, არ შემიძლია. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ შექნება ვარიანტი, რომ წავიდე სხვა კლუბში. მივიღე მკაცრი გადაწყვეტილება, რომ უნდა დავრჩე რუსეთში და თუ არ გამოიმძაბენ, ამ შემთხვევაში მართლმაც იქნებიან.

უკრაინა

კანადა უკრაინისთვის NASAMS-ის საჰაერო თავდაცვის სისტემას შეიძინა. ამის შესახებ კანადის თავდაცვის მინისტრმა ანტონი ანანდმა უკრაინელ კოლეგა ოლექსი რეზნიკოვთან საუბრის შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, ოტავა აღნიშნულ სისტემას შეერთებული შტატებისგან შეისყიდის და უკრაინას უფასოდ გადასცემს. „ეს კანადის მიერ უკრაინისთვის საჰაერო თავდაცვის სისტემის პირველი უფასო მიწოდებაა. უკრაინას, რუსეთის სასტიკი საჰაერო დარტყმების პირობებში, ეს საჰაერო თავდაცვის სისტემა დაეხმარება დასახლებული პუნქტებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების დაცვაში დროების, რაკეტებისა და თვითმფრინავების თავდასხმებისგან“, - თქვა ანანდმა.

მეცაც. ინფორმაცია პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ტრადიციული მიმართვის დროს დაადასტურა. „უკრაინის უშიშროების სამსახურისა და უკრაინის სახელმწიფო მინისტრის სამსახურის მიერ მომზადებული მასალების საფუძველზე და ჩვენი სახელმწიფოს კონსტიტუციის შესაბამისად, მივიღე გადაწყვეტილება, მოქალაქეობა შევუწყვიტო თბ პირს. ესენი არიან: ანდრეი ლეონიდოვიჩ დერკაჩი, ტარას რომანოვიჩ კოზაკი, რენატ რაველიოვიჩ კუზმინი და ვიქტორ ვოლოდიმიროვიჩ მედვედჩუკი. თუ სახალხო დემოკრატები აირჩევენ, ეს სახურონ არა უკრაინელ ხალხს, არამედ უკრაინაში ჩასულ მკვლელებს, ჩვენი ქმედება შესაბამისი იქნება“, - განაცხადა ზელენსკიმ.

რუსულმა ძალებმა ხარკოვში პიროტექნიკის საწყოებს დაარტყეს, რის შედეგადაც პიროტექნიკური ნაწარმი აფეთქდა, - ამის შესახებ ხარკოვის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ოლეგ სინეგუბოვმა განაცხადა. მისივე ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურის სპეციალისტები მუშაობენ. „ოკუპანტები თავს დაესხნენ ხარკოვის კიევის რაიონს. დავიჭირა დარტყმა პიროტექნიკის საწყოებზე. შეინიშნება პიროტექნიკური ნაწარმის აფეთქება“, - განაცხადა სინეგუბოვმა. მისივე თქმით, წინასწარი ინფორმაციით, თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

არა მხოლოდ ჩვენი, არამედ გლობალური დემოკრატიისთვის, ყველასთვის, ვინც აფასებს თავისუფლებას. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ახლა, როდესაც რუსეთი ძალებს აგრძელებს მოტივი ესკალაციისთვის. პარტნიორებთან ერთად, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ რუსეთის ბატონ-პატრონებისთვის ცხადი გახდეს, რომ მათ ვერანაირი ესკალაცია ვერ უშველის“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისივე თქმით, ვაშინგტონში ვიზიტის შემდეგ უკვე ოცდაათამდე მოლაპარაკება ჰქონდა პარტნიორის სახელმწიფოების ლიდერებსა და წარმომადგენლებთან. „ფაქტობრივად, ყოველდღე ვგრძობთ, როგორ იზრდება მსოფლიოს მტკიცე გადაწყვეტილება, დაძლიის რუსული აგრესია. მადლობას ვუხდით ყველას, ვინც გვეხმარება უკრაინისა და თავისუფლების დაცვაში! მადლობას ვუხდით ყველას, ვინც დამოუკიდებლობისთვის იბრძვის!“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

დონეცკის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პაველ კირილენკოს განცხადებით, სოლედარში, სადაც მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს, ახლა 500-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე იმყოფება. კირილენკომ აღნიშნა, რომ ყველას, ვისაც სოლედარიდან წასვლა ყველაზე „ცხელ“ პერიოდამდე სურდა, ამის საშუალება ჰქონდა, ამჟამად კი, შექმნილი მდგომარეობის გამო, უსაფრთხო ევაკუაცია შეუძლებელია. „ამჟამად სოლედარში 523 ადამიანი იმყოფება. ზოგიერთმა მათგანმა ახლა გადაწყვიტა წასვლა, მაგრამ ეს შეუძლებელია ინტენსიური სამომავლო მოქმედებების გამო. სანამ ქალაქში უსაფრთხოდ შესვლა და ქალაქიდან უსაფრთხოდ გამოსვლა არ იქნება შესაძლებელი, ევაკუაცია არ განხორციელდება“, - განაცხადა კირილენკომ.

უკრაინის რადას დემუტატებს ვიქტორ მედვედჩუკს, ტარას კოზაკს, ანდრეი დერკაჩსა და რენატ კუზმინს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოერთვა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, ასევე იგეგმება აღნიშნული სახალხო დემუტატებისთვის მანდატების ჩამორთ-

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსეთი მოტივი ესკალაციისთვის ძალებს აგრძელებს და უკრაინამ პარტნიორებთან ერთად უნდა გააკეთოს ყველაფერი, რომ რუსული აგრესია შეაჩეროს. „თავისუფალ მსოფლიოს აქვს ყველაფერი, რაც აუცილებელია რუსული აგრესიის შესაჩერებლად და ტერორისტული სახელმწიფოს ისტორიულ დამარცხებამდე მისაყვანად. ეს მნიშვნელოვანია

დასავლური დაზვერვა მიიჩნევს, რომ რუსული სამხედრო დაჯგუფება „გაგნერი“ სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს უკრაინაში მიმდინარე რუსეთის სამხედრო კამპანიაში, - ამის შესახებ მედიას ანონიმურმა ოფიციალურმა პირმა განუცხადა. წყაროს ცნობით, რეალური შესაძლებლობა არსებობს, რომ „გაგნერის“ წევრები ახლა რუსი მებრძოლების სემოთხედს ან უფრო მეტს შეადგენენ, თუმცა, როგორც მედია წერს, „გაგნერის“ სამხედრო ეფექტურობა ბაზმუტის მიმართულებით, სადაც მათი ძალები არიან კონცენტრირებული, ჯერ კიდევ შეზღუდულად მიიჩნევა. მედიის ცნობით, თუ რუსული კერძო სამხედრო კომპანია „გაგნერი“ ხელმძღვანელ ეგენი პრიგოვინის განცხადება დადასტურდება, რომ რუსმა სამხედროებმა ქალაქი სოლედარი დაიკავეს, მაშინ ეს რუსეთისთვის საბრძოლო ველზე პირველი ძირითადი წარმატება იქნება გასული ზაფხულის შემდეგ.

მთამზადა ნაირა ფუტარაძე

ვაჟა ღარჯია: ხელისუფლება ძალაუფლების სიზღვივება რავარდნილი

მე-4 გვერდიდან

- ამას წინათ, გარკვეულწილად, ჩამოყალიბდა „გერჩის“, „ღარჯის“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ კოალიცია. თქვენი პარტია აპირებს თუ არა მსგავსი კოალიციის შექმნას და საერთოდ, რატომ არ იქმნება მძლავრი მესამე ძალა, რომელიც მომავალში ხელი-სუფლებას მოგვიტოვებს? - იცით, რომ 2024 წლის არჩევნებში სრულად პროპორციული სისტემით, ბლოკების გარეშე ჩატარდება, ბარიერის საკითხი ამ ეტაპზე ჰაერშია გამოკიდებული და „ჩართული ოცნება“ ამას სათავისოდ გამოიყენებს. პირველი მოსმენით მიღებულია 2%-ის ბარიერი, დღევანდელი მოცემულობით ბარიერი იქნება 5% და არ იქნება ბლოკები. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ეს სამეული არჩევნებში მონაწილეობას ერთად გადაწყვეტს, მაშინ ეს რომელიმე მასში შემაჯავლი პარტიის სით უნდა მოხდეს, ასევე გზა ამ სამი პარტიის

მხრიდან სრულიად ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნა. არჩევნებში მონაწილეობა სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნება ტექნიკური თვალსაზრისით. სწორედ ეს კითხვები გვქონდა ამ სამეულთან - როგორ აპირებდნენ სამომავლოდ აქტივობას? კითხვებზე პასუხები არ მივიღეთ, შესაბამისად, ამ ეტაპზე კონცენტრირებულნი ვართ ძლიერი პარტიული ინსტიტუტის შექმნაზე. გვაქვს სრულიად დამოუკიდებელი დღის წესრიგი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ „ლელო“ იქნება ასკეტი და საერთო ოპოზიციური ფრონტის წინააღმდეგი. მოგვხსენებთ, რომ ჩვენ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა საერთო ფრონტში მივიღეთ, მიუხედავად იმისა, რომ პარტიული გადმოსახედიდან ეს შეიძლება არასწორი სვლა ყოფილიყო. ამით საზოგადოებას დავანახეთ, რომ გამოსავალი უნდა ვეძებოთ თანამშრომლობას და კოალიციურ მმართველობაში.

კეთილდღეობას, აყვავებას... თქვენი პარტიის გეგმები რამდენად რეალურია ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით? - ჩვენი გუნდი მრავალმხრივი გამოცდილების მქონე ადამიანების, პროფესიონალების ერთობაა. მარშალის გეგმის უპირატესობა სწორედ ეს გამოცდილება და პროფესიონალიზმია. სამუშაო ადგილების შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების წარმოება... ეს მცირე ჩამონათვალია იმისა, რასაც წლების განმავლობაში ჩვენი ლიდერები აკეთებდნენ, ამიტომ მარტივია, ვისაუბროთ იმაზე, თუ რამდენად რეალურია ჩვენი საარჩევნო პროგრამა.

შაგის სასამართლოს ამასწინანდელი გადაწყვეტილება რამდენად მნიშვნელოვანია ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის თვალსაზრისით? - პირველ რიგში, იმისთვის, რომ პასუხი გავცა ხელისუფლების რიტორიკას ავგისტოს

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი	გამომცემი რედაქტორი ირმა შერვაშიძე ლიტერატურული რედაქტორი ეთერ სომარიკი	რედაქცია პასუხს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილ მასალებს, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე. R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.	გამომცემი - შპს «ბანკიი აჭარა ლა ალპარია» კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრინი» მის: ქ. თბილისი, ქ. ბაქდაშაძის ქ. №3	მისამართი: 6000, ბათუმი, ბრიგოვოვოს ქ. №2 ტელ: 27-13-31 ინფო და აკაბადონება გაზეთ აჭარის კომპ. ცენტრი დასაბავლად ხელმოწერილია 11/01/23, 22 ავსტ.	დირექტორი გაგუკა ბერიკი
--	--	---	---	--	--

